სამმართველოში გამოდის არქივის პერიოდული ორგანო-ჟურნალი ,,არხეიონი", რომელშიც იბეჭდება როგორც არქივის თანამშრომელთა სტატიები, ისე საქართველოს სხვა სამეცნიერო დაწესებულებათა თანამშრომლებისა და უცხოელ ავტორთა შრომები.

საარქივო სამმართველო აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთის საარქივო დაწესებულებებთან. გაფორმებულიაურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები შვედეთის, უკრაინის, ბულგარეთისა და ავსტრიის რეგიონალურ არქივებთან.

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი: http://www.archives-ajara.gov.ge/

საქართველო, ბათუმი, გორგასალის ქ. 126, 6010

ტელ.: +995 (422) 27-52-10

ფაქსი: +995 (422) 27-52-10

ელ. ფოსტა: info@archives-ajara.gov.ge

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველო

აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველო წერილობითი დოკუმენტების ერთ-ერთი ყველაზე მნიშველოვანი საცავია საქართველოში. იგი დაარსდა 1921 წელს.

საარქივო სამმართველოში თავმოყრილია, ძირითადად 1878 წლის შემდგომი პერიოდის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი საგანძური: უნიკალური ხელნაწერები, საისტორიო დოკუმენტები, უმდიდრესი საარქივო მასალა, პირადი ფონდები.

საარქივო სამმართველოში დაცულია XIX-XX საუკუნეების 550 ათასზე მეტი ქართული, ასევე არაბული, ოსმალური, თურქული, ინგლისური, სომხური, ბულგარული და რუსული დოკუმენტი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გუბერნატორის კანცელარიის ფონდი, რომელშიც დაცულია ბათუმის საქალაქო სათათბიროსა და საქალაქო მმართველობის, პოლიციის, ჟანდარმერიის, ოხრანკის, სასოფლო- სამეურნეო, რელიგიური, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა დაწესებულებების ისტორიის ამსახველი პირველხარისხოვანი დოკუმენტები.

უცხოენოვანი საბუთებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია – არაბული დოკუმენტები, XVI-XVIII სს. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ამსახველი დოკუმენტების ქსეროასლები, რომელთა დედნები დაცულია სოფიის (ბულგარეთი) კირილესა და მეთოდეს სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.



არქივში დაცულ ხელნაწერებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია XVIII ს-ის II ნახევრის ქართული კარაბადინის აჭარული ვარიანტის ,,ფემბასეული ნუსხა", გრაცის (ავსტრია) უნივერსიტეტში დაცული VII-XI საუკუნეების ქართული ხელნაწერებისა (ჰუგო შუხარტის კოლექცია) და პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის ფოტოასლები.





არქივში ბინა დაიდო კულტურის, მეცნიერების, განათლების სფეროს დამსახურებული მუშაკების, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების, პოეტების, მწერლების პირადმა ფონდებმა (2186 ს/ე). მათ შორისაა: ა. შერვაშიძის, მ. ვარშანიძის, ნ. მალაზონიას, ფ.ხალვაშის, რ.სურმანიძის, გ. პინიანცის, ქ.ბახტაძის ი.კობალაძის, გ.ხეჩინაშვილის, ი. ალანიას, ჯ.ნოღაიდელის და სხვა გამოჩენილ ადამიანთა პირადი ფონდები.

საარქივო სამმართველოს გააჩნია დახურული ტიპის სამეცნიერო საცნობარო ბიბლიოთეკა, რომელსაც აქვს სპეციალიზებული წიგნსაცავი არქივმცოდნეობისა და დოკუმენტმცოდნეობის პროფილით. არქივის ბიბლიოთეკაში ინახება ,,ატენის სიონის მოხატულობა", რომელიც გვაწვდის უძვირფასეს ცნობებს უმნიშვნელოვანესი არქიტექტურული ძეგლის – ატენის სიონის ისტორიის შესახებ. ბიბლიოთეკაში დაცულია საქართველოოს ისტორიის ამსახველი სამეცნიერო ლიტერატურა, რუსულ ენაზე გამოცემული სახელმძღვანელოები, ლათინურ ენოვანი დოკუმენტები. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოქროსფრად მოვარაყებული ლათინური წიგნები, ფრანგულენოვანი ,,Catechisme"- ქრისტიანული ღვთისმეტყველების სახელმძღვანელო.

არქივში თავმოყრილია კინოფოტოფონო ფონდები: 1878-2011 წლების უნიკალური ფოტოდოკუმენტები, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესების ამსახველი მასალები.

ფოტოდოკუმენტები წარმოდგენას გვიქმნიან აგრეთვე აჭარის ეთნოგრაფიული ყოფის შესახებაც. ფონდებში წარმოდგენილია გლეხი კაცის ტიპაჟი (XIXს),

სპარსელი მლოცველები, ნავსადგურის მუშები, წყლის წისქვილები, კარმიდამო, მედრესეში სწავლების პროცესის ამსახველი ფოტომასალა.

არქივის კინოგალერეაში დაცულია აჭარის ისტორიის ამსახველი ფილმები, ჩანახატები აჭარაზე, 1920-1938 წწ. აჭარის ისტორიის ამსახველი კინონარკვევები: ჩადრის ახდა, წითელი ეშმაკუნები, მკვლელი და ა.შ.



სამეცნიერო კვლევითი მუშაობა არქივის ერთ-ერთი ფუნდამენტალური მიმართუ-ლებაა. აქ ტარდება რესპუბლიკური და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, მიმდინარეობს არქივში დაცული ხელნაწერი წიგნების, ისტორიული დოკუმენტების, პირადი არქივების აღწერა, სისტემატიზაცია, შესწავლა, დოკუმენტური წყაროების პუბლიკაცია.